899.962.1-092(ბან)
ნ-787

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამილა ნერონის ასული წოწორია

გალაკტიონ ტაბიძის რითმის ევფონიურ-სემანტიკური ფუნქცია

სპეციალობა – 10.01.08
ლიტერატურის თეორია

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული
ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **აკაკი ხინთიბიძე** – ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ექსპერტი: **დიმიტრი თუხარელი** –ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები: 1. **გივი ლომიძე** – ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. **დავით კოტორაშვილი** – ფილოლოგიის
მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

წამყვანი ორგანიზაცია: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი

დისერტაციის დაცვა გაიმართება 2000 წლის „11“ „ოქტომბერს“ „12⁰⁰“
სთზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P.10.01. C №5
სხდომაზე.
მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 2000 წლის „10“ „სექტემბერს“

Библиотека
Тбилисского гос. пед-
агогического ин-та
иностранных яз.
им. Чернышевского

სადისეტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი:
ფილ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (თ. კიკაჩეიშვილი)

- 17395 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა და გამოკვლევის მიზანი უახლესი ქართული პოეზიის ფორმირების პროცესი, რაც XX საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო, კონკრეტული გამოვლინება იყო იმ დიდი ფერისცვალებისა, რაც ევროპულმა კულტურამ განიცადა ორი საუკუნის მიჯნაზე.

ეროვნულ ძირებზე ამოზრდილი და მსოფლიო კულტურებთან ნაზიარები ქართული ლექსის გადახალისება ურთულესი პროცესი იყო. არ დარჩენილა სალექსო სტრუქტურის არც ერთი ელემენტი, რომელსაც თვისებრივი ცვლილება არ განეცადოს. რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება სიტყვისადმი, შეიქმნა სახეობრივი აზროვნების სრულიად ახალი სისტემა, გაფართოვდა მეტრულ-რიტმული რეპერტუარი, განახლდა რითმა, დაიხვეწა მისი ევფონია და სემატიკა.

ახალი რითმა, რომელიც ქართულ ლექსში 1915 წლიდან იღებს სათავეს, სემანტიკის სფეროშიც შეიჭრა და ამიტომაც იქცა პოეტთა და მკვლევართა საგანგებო მსჯელობის საგნად რითმის სემანტიკის, სარითმო ერთეულების ლექსიკური შედგენილობის საკითხი.

ეს სიახლე რითმაში, უწინარეს ყოვლისა, გალაკტიონის სახელთანაა დაკავშირებული.

გალაკტიონის რითმა მისი ლექსის მუსიკალურობაში ვლინდება. იგი ბგერითი შედგენილობის, ევფონიის მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო. რითმის მუსიკა ხომ, არსებითად, ევფონიას გულისხმობს.

სიახლისკენ სწრაფვაა გალაკტიონის შემოქმედების თავისებურება. პოეტი ქართული ენის უმდიდრეს ლექსიკას ზედმიწევნით ფლობდა, ამასთანავე, მშობლიური ენის წიაღიდან, ამოჰქონდა ძველი, თანაც ეძიებდა სულ ახალსა და ახალს. თავისი წარმოსახვით ქმნიდა ნეოლოგიზმებს, რომლებიც ძირითადად რითმაშია გატანილი.

Библиотека
Тбилисского гос. пед-
агогического ин-та